



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახტაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე

ბახტაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე (დ. 6. VIII.1967, თბილისი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (2005).

1992 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1991-2012 მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, ი. აბაშიძის სახ. ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნ. რედაქციაში. 1997-იდან მუშაობს თსუ-ში წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ლაბორატორიის მეცნ.-თანამშრომელად (2005-იდან თსუ-ის ასოცირებული პროფესორი). 2005-იდან არის შეფასებისა და გამოცდების ეროვნ. ცენტრის საქართველოს ისტორიისა და საზ. მეცნიერებების ჰგუფის მთავარი სპეციალისტი; პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშ. კომისიის წევრი (2017-იდან), ისტორიკოსთა რუმინულ-ქართული კომისიის თანახელმძღვანელი (2019-იდან);

2009-14 – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის სადისერტაციო საბჭოს ისტორიის სექციის თავ-რე, 2010-14, 2018-2022 თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი), 2022-იდან თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და (2011-იდან) ჟურნ. „ქართველოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

ბ-ის სამეცნ. კვლევის სფეროებია: შეა საუკუნეების საქართველოს სახელმწ. წყობილების საკითხები, ფეოდალური საგვარეულოები, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორია, პოლონურ-ქართული ურთიერთობები 1917-39.

ბ. არის 100-ზე მეტი სამეცნ. პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი (მ. შ. 9 მონოგრაფიისა), საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორი

(VII-X კლასებისთვის), მონაწილეობდა 60-ტე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში. მუშაობდა პოლონეთის რამდენიმე არქივში, მიიღო ტ. ფილიპოვიჩის სახ. ჯილდო (2019).

თხზ.: ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში,, თბ., 2003; ჭაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში, თბ., 2008; 1921 წლის რუსეთ-საქართველოს საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013; გენერალი ილია ოდიშელიძე, თბ., 2017; დემეტრე II, თბ., 2019.
